



ქ. ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეკონსტრუქცია - ფაზა 3

ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სკრინინგი და გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა

რეგიონალური განვითარების მეორე პროექტი
ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ

სექტემბერი, 2016

გარემოსდაცვითი სკრინინგი და კლასიფიკაცია

ქვე-პროექტი ითვალისწინებს ვანის არქეოლოგიური მუზეუმის შენობის რეკონსტრუქციას, კერძოდ, ძველი მუზეუმის ნაგებობის დემონტაჟს და ახალი, თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების შესაბამისი, ნაგებობის აშენებას.

ვანის არქეოლოგიური მუზეუმი აშენდა XX საუკუნის 80-იან წლებში. დღეისათვის ძველი შენობა სავალალო მდგომარეობაშია. მუზეუმის რეკონსტრუქციის თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული იყო არსებული შენობის რეაბილიტაცია და ახალი სივრცის მიშენება, რაც დაიწყო 2012 წელს. თუმცა განხორციელებული კვლევის შედეგების საფუძველზე გადაწყდა მუზეუმის ძველი ნაგებობის დემონტაჟი და ახალი, თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების შესაბამისი ნაგებობის აშენება.

ქვე-პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მინაშენის დასრულება მუზეუმის ახალი შენობის მშენებლობასთან ერთად.

მუზეუმის ნაკვეთის მთლიანი ფართი შეადგენს 5327 მ²-ს, მუზეუმის შენობის ფართი ახალ მოშენებასთან ერთად იქნება 1010,02 მ².

ქვე-პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

- მუზეუმის არსებული ძველი შენობის სრული დემონტაჟი;
- ახალი ოთხსართულიანი კარკასული ნაგებობის მშენებლობა საერთო ფართობით 3242,28 მ², სადაც გაერთიანებულია ახალი მინაშენის დამატებითი ფართი. ძველი შენობის სრული ფართობი იყო 1435 მ². ახალი ნაგებობა იმეორებს ძველი შენობის კონფიგურაციას, თუმცა, საგამოფენო სივრცის სრულყოფის მიზნით, ახალი შენობა ძველზე 1 მეტრით მაღალი იქნება; ახალ შენობაში მუზეუმს დაემატება საგანმანათლებლო სივრცე, ლაბორატორიები და საფონდო ზონები, გაიზრდება საგამოფენო სივრცე, დაემატება სამუზეუმო სატრანზიტო ზონა, მოეწყობა სამუზეუმო მაღაზია და კაფე. მუზეუმი დაყოფილი იქნება შემდეგ სივრცეებად: საგამოფენო სივრცე - 600.00 მ²; დროებითი საგამოფენო სივრცე - 83.84 მ²; საფონდო სივრცე - 180 მ²; კვლევითი ლაბორატორია - 30 მ²; საზოგადოებრივი სივრცე - 826 მ²; აუდიტორია - 170 მ²; საგანმანათლებლო ზონა/ბიბლიოთეკა - 115 მ²; საოფისე სივრცე - 243 მ²; სამზარეულო - 76.72 მ²; მუზეუმის მაღაზია - 76 მ²; ტექნიკური სათავსოები - 555.47 მ²; ტერასები/აივნები - 286,25მ². მუზეუმის შენობის ფასადი მოპირკეთდება ხელოვნური მინაბოჭკოვანი რკინაბეტონის ფილებით. მოეწყობა ახალი, ნახევრად გამჭირვალე ფასადი მთავარ შესასვლელთან. შენობა გადაიხურება მოთუთიებული თუნუქით. შენობის ნულოვან სართულზე განთავსდება: საინფორმაციო დახლი, სველი წერტილები, გასახდელი, გარე კაფეს ტერასა, მუზეუმის მაღაზია, ორი კიბის უჯრედი და შემინული ლიფტი, დროებითი და

მუდმივი საგამოფენო სივრცეები; მეორე სართულზე განთავსდება სამი საგამოფენო დარბაზი; მინუს ერთ ნიშნულზე კაფე, მუზეუმის აუდიტორია, საგანმანათლებლო ზონა და ბიბლიოთეკა, საოფისე სივრცე. მინუს 2 ნიშნულზე - საოფისე სივრცე თანამშრომლებისათვის, დაცვის სამსახურის ოთახი, ლაბორატორია, არქეოლოგიური გათხრებიდან არტიფაქტების მისაღები სივრცე. პლიუს 2 ნიშნული (სხვენი) არის ტექნიკური სათავსო, სადაც განთავსდება გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის დანადგარები. უნარშეზღუდული პირთათვის მოეწყობა სპეციალური პანდუსები, ლიფტი, სველი წერტილები. პანდუსები უნარშეზღუდული პირებისათვის მისდევს კიბის კასკადს.

- მუზეუმის ეზოს კეთილმოწყობა, რაც მოიცავს ტერასების, კიბეებისა და პანდუსების, ასევე ავტოსადგომების მოწყობას თანამშრომლებისათვის (6 სადგომი) და ვიზიტორებისათვის (3 ავტობუსი, 28 მსუბუქი ავტომანქანა, 2 ადგილი უნარშეზღუდული პირებისათვის);
- ახალი ელექტროჯიხურის მოწყობა ეზოს ტერიტორიაზე;
- შენობის უსაფრთხოების, განათების, ვენტილაციის, გათბობის, სატელეფონო ხაზებისა და კომპიუტერული ქსელების, Wi-Fi, ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემების მოწყობა. შენობა გათბება ელექტროენერგიით.
- წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემების მოწყობა. მუზეუმის შენობისათვის წყლის მიწოდება მოხდება ქ. ვანის წყალსადენის ქსელიდან. წყალსადენის მუნიციპალურ ქსელზე მოეწყობა სატუმბი სადგური, რომელიც წყალს მიაწოდებს 50 მ³ მოცულობის რეზერვუარს. სატუმბი სადგურიდან რეზერვუარამდე წყლის მილი მიუყვება ვახტანგ გორგასლის ქუჩას. რეზერვუარი განთავსდება ძველი ამორტიზირებული რეზერვუარის ადგილას, რომელიც მდებარეობს არქეოლოგიურ უბანზე. რეზერვუარიდან წყალი თვითდენითი მილით, რომელიც კვეთს არქეოლოგიურ უბანს და შემდეგ მიუყვება ქუჩას, წყალი მიეწოდება მუზეუმს. საკანალიზაციო წყლების გაწმენდის მიზნით ქვე-პროექტი ითვალისწინებს ორი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობას, თითოეული 6 მ³/დღე-ღამეში მოცულობის. გაწმენდის შემდგომ საკანალიზაციო წყლების ჩადინება მოხდება მდ. ჭიშურაში. საკანალიზაციო მილი მუზეუმიდან მიუყვება ვახტანგ გორგასლის ქუჩას და მიუერთდება ქუჩის ბოლოს განთავსებულ გამწმენდ ნაგებობებს.

(ა) ზეგავლენის დადგენა

აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზეგავლენა გარემოზე?	ქვე-პროექტს აქვს მცირე უარყოფითი ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე და სავარაუდოდ მას ექნება გრძელვადიანი დადებითი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.
---	--

რაში მდგომარეობს ქვე-პროექტის მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე?

მოსალოდნელია, რომ ქვე-პროექტს ექნება დადებითი გრძელვადიანი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ვინაიდან ის უზრუნველყოფს მაღალი სტანდარტის, მულტიფუნქციური მუზეუმის რეაბილიტაციას კულტურული მემკვიდრეობის ადგილის მიმდებარედ და გაზრდის მის ტურისტულ მიმზიდველობას. ტურისტების გაზრდილ ნაკადს ექნება დადებითი სოციალური ზეგავლენა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის თვალსაზრისით.

ვანის მუზეუმის რეაბილიტაცია გააუმჯობესებს ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურას და წვლილს შეიტანს იმერეთის რეგიონში ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკის და კულტურული მემკვიდრეობის სფეროს განვითარებაში.

მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელია, რომ იქნება მოკლევადიანი: სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების შედეგად მოსალოდნელია რომ გაიზრდება მტვერის და გამონახოლქვის ემისიები სამშენებლო მექანიზმების და ტრანსპორტის ოპერირების გამო, გაიზრდება ხმაურისა და ვიბრაციის დონე ფონურთან შედარებით, მოსალოდნელია სხვადასხვა ტიპის სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა, ასევე, ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებები.

ვინაიდან ქვე-პროექტი ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის უშუალო სიახლოვეს, დიდია შემთხვევითი არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენის ალბათობა მიწის სამუშაოების დროს.

მუზეუმის ექსპონატების უსაფრთხო დროებით განთავსებასთან დაკავშირებული რისკები არის მინიმალური, ვინაიდან, ვანის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპონატები, მუზეუმის რეკონსტრუქციის დაწყებამდე, 2012 წელს განთავსებული იქნა დროებით საცავებში. კერძოდ: ძვირფასი ლითონების, ბრინჯაოს, მინისა და ქვის არტეფაქტები გადატანილი იქნა თბილისში, ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ძვირფასი ლითონების საცავში, ხოლო ნაწილი დაცულია ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში. ძირითადი მასალა განთავსებულია ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე, ე.წ. დროებით საცავში, რომელიც აღჭურვილია შესაბამისად. საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური

	დირექტორის წერილის (#01/08-1359, 18.09.2015) შესაბამისად ექსპონატების შენახვის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია (იხ. დანართი). მუზეუმის საგამოფენო დარბაზსა და ჰოლში დარჩა ქვის არქიტექტურული დეტალები და რესტავრირებული ქვევრები, რომლებიც შეფუთულია, დაზიანების თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნული ექსპონატები დროებით განთავსდება კერძო პირის კუთვნილ შენობაში მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე (იხ. დანართი 5. საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და შენობის მფლობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლი). ქვე-პროექტის განხორციელების შემდეგ, ტურისტული ნაკადის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, როგორცაა ნარჩენების წარმოქმნის ზრდა, ვანდალიზმის რისკი და სხვა.
შესაძლოა ქვე-პროექტს ქონდეს რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ადგილობრივ თემებზე ან სხვა ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებზე?	წყლის შემავალი და გამომავალი მილების მცირე მონაკვეთი განთავსებული იქნება სახელმწიფო კუთვნილებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლითაც ამჟამად სარგებლობს კერძო პირი, რაზეც, აღნიშნული პირი არის თანახმა. მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები შეხვდნენ აღნიშნულ პირს, რომლის თანხმობა გაფორმდა წერილობით და დადასტურდა ნოტარიუსის მიერ (იხ. დანართი 7). კერძო პირის ქონება სამშენებლო სამუშაოების შედეგად არ დაზიანდება, შესაბამისად არ მოხდება მისთვის საკომპენსაციო თანხის გადახდა. ქვე-პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება არქეოლოგიურ უბანზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სასმელი წყლით მომარაგება, ვინაიდან მათთვის წყლის მიწოდება მოხდება მუზეუმის წყალმომარაგების ქსელიდან. ქვე-პროექტის გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება იქნება დადებითი (ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ტურისტული ნაკადის ზრდა). მუზეუმის ახალი, კომფორტული შენობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მუზეუმის თანამშრომლების (14 პირი) სამუშაო პირობებს, ასევე უზრუნველყოფს ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებას.

	ამჟამად პერსონალისათვის შენარჩუნებულია სამუშაო ადგილები და მათ ხელფასს უხდის საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ქვე-პროექტს არ ექნება ზეგავლენა მუზეუმის თანამშრომლების შემოსავლებზე, ვინაიდან ხელფასების გაცემა მოხდება შეუფერხებლად ეროვნული მუზეუმის მიერ (შესაბამისი წერილი თანდართულია, დანართი 6). მნიშვნელოვანი სოციალური ზეგავლენა, როგორცაა ადგილობრივი დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილება, ჩამოსახლება, მეორადი განვითარება ან დაავადებების რისკის გაზრდა მოსალოდნელი არ არის. ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა, რომელიც აღწერილია ზემოთ, იქნება მოკლევადიანი და შემოფარგლული ქვე-პროექტის განხორციელების ადგილით.
--	---

(ბ) შემამასუბუქებელი ზომები

განხილული იქნა თუა რა პროექტირებისას ქვე-პროექტის ალტერნატივები?	მუზეუმის რეკონსტრუქციის თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული იყო არსებული შენობის რეაბილიტაცია. თუმცა, 2014 წელს განხორციელებული კვლევების საფუძველზე გადაწყდა არსებული შენობის დემონტაჟი და ახლის აშენება. მუზეუმის ახალი შენობა დაპროექტდა თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების გათვალისწინებით. ახალი პროექტით გათვალისწინებულია საგანმანათლებლო სივრცის, ლაბორატორიების და საფონდო ზონების მოწყობა, საგამოფენო სივრცე გაფართოვდება; ქრონოლოგიურად დალაგდება საგამოფენო სივრცე, დაემატება სამუზეუმო სატრანზიტო ზონა, რაც მუზეუმს უქმნის წინაპირობას დროებითი გამოფენებისათვის მიიღოს სხვა მუზეუმების კოლექციები. მოეწყობა სამუზეუმო მაღაზია და კაფე. ვიზიტორებისაგან შემოსული თანხა გაზრდის მუზეუმის ეკონომიკურ ეფექტს.
--	--

რა შემარბილებელი ღონისძიებებია განსაზღვრული?	სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა შესაძლოა მარტივად შემსუბუქდეს შემდეგი ღონისძიებების გატარებით: სამშენებლო ადგილის შემოსაზღვრა და შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება პერიმეტრზე, სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მართვა, სამშენებლო ნარჩენების შესაბამისი მართვა და მუდმივი მონიტორინგი, მანქანა დანადგარების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, სამუშაოების განხორციელებისათვის ნაკლებად სენსიტიური პერიოდის (დღის საათები) შერჩევა. საჭიროებისამებრ, მოსახლეობისათვის შესაბამისი განმარტებების მიცემა. ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოყოფილი იქნა ადგილი სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული ნარჩენებისა და ჭარბი გრუნტის განთავსებისათვის სოფელ ამაღლების ტერიტორიაზე (11 კმ-ში ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან). ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი წერილი თანდართულია. მიწის სამუშაოების დროს არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენის შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყონებლივ უნდა შეწყვიტოს სამუშაოები და მიაწოდოს ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელიც, თავის მხრივ, დაუყონებლივ აწვდის ინფორმაციას კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. სამუშაოების განახლება შესაძლებელი იქნება მხოლოდ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან წერილობითი თანხმობის მიღების შემდგომ. წყლის რეზერვუარის განთავსების ადგილი (121 მ²) იქნება შემოღობილი მუზეუმისათვის უსაფრთხო სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით. მუზეუმის შენობიდან საკანალიზაციო წყლებით მდინარის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით
---	---

	მოეწყობა საკანალიზაციო წყლების ბიოლოგიური გაწმენდი ნაგებობა და მოხდება მისი შესაბამისი ექსპლუატაცია.
წინა მსგავსი ქვე-პროექტების განხორციელებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული პროექტირებისას?	ვანის არქეოლოგიური მუზეუმის თავდაპირველ პროექტში შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები საინჟინრო უსაფრთხოებისა და კონსტრუქციული მდგრადობის თვალსაზრისით. ქვე-პროექტით გათვალისწინებულია სანიაღვრე წყლის გადაყვანისა და დრენაჟის სისტემების, ასევე სახურავიდან წყლის გადამყვანი სისტემის მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმის შენობის და ეზოს მოვლა-შენარჩუნებას. დახრილ სახურავზე თოვლის დამჭერების მოწყობა ხელს შეუწყობს პერსონალისა და ვიზიტორების უსაფრთხოებას. ქვე-პროექტი ითვალისწინებს ხანძარქრობის სისტემას, ასევე დამუშავებულია საევაკუაციო გეგმა. ქვე-პროექტით გათვალისწინებულია უნარშეზღუდულ პირთათვის დამოუკიდებელი გადაადგილების შესაძლებლობების შექმნა - მოეწყობა სპეციალური პანდუსები, ლიფტი, სველი წერილები, ასევე გათვალისწინებულია საევაკუაციო მოძრაობის დამოუკიდებელი გადაადგილების უსაფრთხო სქემა შენობის ყველა სართულიდან და სივრციდან.
იყვნენ თუ არა ჩართულნი დაინტერესებული თემები? ქვე-პროექტის პროექტირებისას სათანადოდ მოხდა თუ არა მათი ინტერესებისა და ცოდნის გათვალისწინება?	ქვე-პროექტის გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვის ანგარიში განხილული იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა 2015 წლის 10 მაისს. შეხვედრის ოქმი თანდართულია. ადგილობრივ მოსახლეობასთან დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრა ჩატარდა 2016 წლის 8 აგვისტოს, რომლის ოქმიც, ასევე, თან ერთვის დოკუმენტს.

D) კატეგორიზაცია და დასკვნა

სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით,

ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც გარემოსდაცვითი კატეგორია:

A ☐

B ☒

C ☐

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია ☐
2. ქვე-პროექტი მიღებულია ☒

რისკების შეფასების საფუძველზე, ქვე-პროექტი საჭიროებს:

1. გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ☐
2. გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვას, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის შემუშავების ჩათვლით ☒

სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური ზემოქმედების სკრინინგისათვის		კი	არ
1	ინფორმაცია ქვეპროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე)	✓	
2	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ხელმისაწვდომობის შეზღუდვას სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწა, საძოვარი, წყალი, კომუნალური მომსახურება, საჯარო სივრცე ან სხვა რესურსებზე, რომლებზეც მოსახლეობა არის დამოკიდებული?		✓
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული პირების ან ოჯახების განსახლებას ან მოითხოვს თუ არა მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების (მუდმივ ან დროებით საჯარო ან კერძო საკუთრებაში არსებულის) შესყიდვას?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და შინამეურნეობის ინფრასტრუქტურის (როგორცაა დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე საპირფარეშოები, სამზარეულო და ა.შ.) დროებით ან მუდმივ დანაკარგს?		✓
თუ ზემოთ დასმულ ნებისმიერ კითხვაზე პასუხი არის „დიახ“ (გარდა პირველი კითხვისა) მაშინ უნდა ამოქმედდეს უსაფრთხოების პოლიტიკა OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება, ხოლო შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს OP/BP 4.12 -ს და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			
კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგის ინფორმაცია		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?	✓	
თუ პასუხი მე-5 კითხვაზე არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკა OP/BP 4.11 - ფიზიკური კულტურული რესურსები და შემთხვევით აღმოჩენების განკარგვა უნდა განხორციელდეს OP/BP 4.11-ით და გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.			

ქვე-პროექტის განხორციელება არ საჭიროებს ახალი მიწის ნაკვეთის შეძენას.

მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია ვანის არქეოლოგიური მუზეუმი რეგისტრირებულია, როგორც სახელმწიფო საკუთრება ფართობით 5327 მ², რომელიც უზუფრუქტით გადაცემულია სარგებლობისთვის საქართველოს ეროვნული მუზეუმისათვის (იხილეთ თანდართული საკადასტრო ინფორმაცია). წყლის

რეზერვუარი განთავსდება არქეოლოგიურ უბანზე, რომელიც რეგისტრირებულია, როგორც სახელმწიფო საკუთრება დაუზუსტებელი ფართობით 85 000 მ² და სარგებლობაში გადაცემულია საქართველოს ეროვნული მუზეუმისათვის უზუფრუქტით. ვანის არქეოლოგიური უბნის ტერიტორიაზე მდებარეობს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები ეზოებით. ქვე-პროექტის ფარგლებში ყველა სამუშაო ხორციელდება სამოსახლოების საზღვრებს გარეთ (იხ. დანართი 8. სამოსახლოები ვანის არქეოლოგიურ უბანზე). ქვე-პროექტი არანაირი ფორმით არ კვეთს და არ ექნება უარყოფითი ზეგავლენა არქეოლოგიურ უბანზე მაცხოვრებლებზე. ამიტომ არ არის დაგეგმილი საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოფიციალურ წერილში (დანართი 13) აღნიშნულია, რომ არასოდეს არ განიხილებოდა და არც ახლა განიხილება არქეოლოგიურ უბანზე მცხოვრები მოსახლეობის იძულებითი განსახლების საკითხი. წყლის შემავალი და გამომავალი მიწების მხოლოდ მცირე მონაკვეთი იქნება განთავსებული მიწის ნაკვეთზე, რომლითაც ამჟამად სარგებლობს კერძო პირი, რაზეც აღნიშნული პირი თანხმობა მიღებულია. კერძოდ, წყლის მიწების მცირე მონაკვეთი განთავსებულია იქნება ადგილობრივი მოსახლის ეზოში, რომელიც არ არის რეგისტრირებული, როგორც კერძო საკუთრება. მუნიციპალური განვითარების ფონდი შეხვდა მიწის ნაკვეთის მოსარგებლეს და მისგან მიიღო წერილობითი და ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობა სამუშაოების განხორციელებაზე (დანართი 7). სამუშაოების განხორციელებას არ ექნება ზეგავლენა მიწის ნაკვეთით მოსარგებლის შემოსავალზე. შესაბამისად, არ მოხდება კომპენსაციის გაცემა. თუ ქვე-პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შედეგად დაზიანდება ცალკეული პირების/ოჯახების საკუთრება, კონტრაქტორის პასუხისმგებლობა იქნება დაზიანებული ქონების აღდგენა, რასაც მუნიციპალური განვითარების ფონდი გაუწევს განსაკუთრებულ ზედამხედველობას.

ქვე-პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება წყლის მიწოდება არქეოლოგიურ უბანზე მცხოვრებთათვის მუზეუმის წყალმომარაგების ქსელზე მათი საცხოვრებელი სახლების მიერთების გზით.

მიწის ნაკვეთები, რომელზეც განთავსდება სატუმბო სადგური და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები (45მ²), რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება.

გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

1. შესავალი

1.1 საფუძველი

საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 25 ივნისს დაამტკიცა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია (მთავრობის დადგენილება #172), რომელიც მომზადდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ. სტრატეგიის მთავარი მიზანია ხელშემწყობი გარემოს შექმნა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის და ცხოვრების დონის ამაღლება. აღნიშნული მიზანი მიღწეული უნდა იქნეს დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, გაზრდილი კონკურენტუნარიანობით და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრებით.

იმერეთში არსებული ტურისტული და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის უკეთ გამოყენებისათვის და შიდა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შესამცირებლად, საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკს იმერეთის რეგიონული განვითარებისათვის ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე. საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ ერთობლივად მომზადდა რეგიონული განვითარების მეორე პროექტი და მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი იქნა სესხი მისი განხორციელებისათვის.

ვანის არქეოლოგიური ობიექტის რეაბილიტაციის ქვე-პროექტი არის რეგიონული განვითარების მეორე პროექტის ნაწილი, რომელიც მომზადდება, განიხილება, დამტკიცდება და განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკების შესაბამისად.

1.2 ინსტიტუციონალური სტრუქტურა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად საფუძველზე გაუმჯობესებას. მუნიციპალური განვითარების ფონდი არის რეგიონული განვითარების მეორე პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ მართვაზე, გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების ჩათვლით.

მუნიციპალური განვითარების ფონდი ამზადებს და მსოფლიო ბანკს წარუდგენს რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში ქვე-პროექტების შეფასების ანგარიშებს, რომელთაც თან ერთვის ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური

უსაფრთხოების დოკუმენტები, როგორიცაა გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმასთან ერთად ან გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა, რომელიც მომზადებულია მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის გამოყენებით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, განსახლების სამოქმედო გეგმა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი პასუხისმგებელია ობიექტის ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობაზე.

1.3 კანონმდებლობა და ნორმები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (2008), ქვე-პროექტი არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

ქვე-პროექტი უნდა განხორციელდეს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების შემდეგი დოკუმენტების შესაბამისად:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების უსაფრთხოების პოლიტიკა (OP/BP 4.01)
- ფიზიკური კულტურული რესურსების უსაფრთხოების პოლიტიკა (OP/BP 4.12)

აღნიშნული უსაფრთხოების პოლიტიკებისა და რეგიონული განვითარების მეორე პროექტის გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, ქვე-პროექტი კლასიფიცირდა B(+) კატეგორიად და საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადებას.

2. ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტი ითვალისწინებს ვანის არქეოლოგიური მუზეუმის შენობის რეკონსტრუქციას, კერძოდ, ძველი მუზეუმის ნაგებობის დემონტაჟს და ახალი, თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების შესაბამისი, ნაგებობის აშენებას.

ვანის არქეოლოგიური მუზეუმი აშენდა XX საუკუნის 80-იან წლებში. დღეისათვის ძველი შენობა სავალალო მდგომარეობაშია. მუზეუმის რეკონსტრუქციის თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული იყო არსებული შენობის რეაბილიტაცია და ახალი სივრცის მიშენება, რაც დაიწყო 2012 წელს. თუმცა განხორციელებული კვლევის შედეგების საფუძველზე გადაწყდა მუზეუმის ძველი ნაგებობის დემონტაჟი და ახალი, თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების შესაბამისი ნაგებობის აშენება.

ქვე-პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მინაშენის დასრულება მუზეუმის ახალი შენობის მშენებლობასთან ერთად.

მუზეუმის ნაკვეთის მთლიანი ფართი შეადგენს 5327 მ²-ს, მუზეუმის შენობის ფართი ახალ მოშენებასთან ერთად იქნება 1010,02 მ².

ქვე-პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

- მუზეუმის არსებული ძველი შენობის სრული დემონტაჟი;
- ახალი ოთხსართულიანი კარკასული ნაგებობის მშენებლობა საერთო ფართობით 3242,28 მ², სადაც გაერთიანებულია ახალი მინაშენის დამატებითი ფართი. ძველი შენობის სრული ფართობი იყო 1435 მ². ახალი ნაგებობა იმეორებს ძველი შენობის კონფიგურაციას, თუმცა, საგამოფენო სივრცის სრულყოფის მიზნით, ახალი შენობა ძველზე 1 მეტრით მაღალი იქნება; ახალ შენობაში მუზეუმს დაემატება საგანმანათლებლო სივრცე, ლაბორატორიები და საფონდო ზონები, გაიზრდება საგამოფენო სივრცე, დაემატება სამუზეუმო სატრანზიტო ზონა, მოეწყობა სამუზეუმო მაღაზია და კაფე. მუზეუმში დაყოფილი იქნება შემდეგ სივრცეებად: საგამოფენო სივრცე - 600.00 მ²; დროებითი საგამოფენო სივრცე - 83.84 მ²; საფონდო სივრცე - 180 მ²; კვლევითი ლაბორატორია - 30 მ²; საზოგადოებრივი სივრცე - 826 მ²; აუდიტორია - 170 მ²; საგანმანათლებლო ზონა/ბიბლიოთეკა - 115 მ²; საოფისე სივრცე - 243 მ²; სამზარეულო - 76.72 მ²; მუზეუმის მაღაზია - 76 მ²; ტექნიკური სათავსოები - 555.47 მ²; ტერასები/ავიზები - 286,25მ². მუზეუმის შენობის ფასადი მოპირკეთდება ხელოვნური მინაბოჭკოვანი რკინაბეტონის ფილებით. მოეწყობა ახალი, ნახევრად გამჭირვალე ფასადი მთავარ შესასვლელთან. შენობა გადაიხურება მოთუთიებული თუნუქით. შენობის ნულოვან სართულზე განთავსდება: საინფორმაციო დახლი, სველი წერტილები, გასახდელი, გარე კაფეს ტერასა, მუზეუმის მაღაზია, ორი კიბის უჯრედი და შემინული ლიფტი, დროებითი და მუდმივი საგამოფენო სივრცეები; მეორე სართულზე განთავსდება სამი საგამოფენო დარბაზი; მინუს ერთ ნიშნულზე კაფე, მუზეუმის აუდიტორია, საგანმანათლებლო ზონა და ბიბლიოთეკა, საოფისე სივრცე. მინუს 2 ნიშნულზე - საოფისე სივრცე თანამშრომლებისათვის, დაცვის სამსახურის ოთახი, ლაბორატორია, არქეოლოგიური გათხრებიდან არტიფაქტების მისაღები სივრცე. პლიუს 2 ნიშნული (სხვენი) არის ტექნიკური სათავსო, სადაც განთავსდება გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის დანადგარები. უნარშეზღუდული პირთათვის მოეწყობა სპეციალური პანდუსები, ლიფტი, სველი წერტილები. პანდუსები უნარშეზღუდული პირებისათვის მისდევს კიბის კასკადს.
- მუზეუმის ეზოს კეთილმოწყობა, რაც მოიცავს ტერასების, კიბეებისა და პანდუსების, ასევე ავტოსადგომების მოწყობას თანამშრომლებისათვის (6 სადგომი) და ვიზიტორებისათვის (3 ავტობუსი, 28 მსუბუქი ავტომანქანა, 2 ადგილი უნარშეზღუდული პირებისათვის);
- ახალი ელექტროჯიხურის მოწყობა ეზოს ტერიტორიაზე;
- შენობის უსაფრთხოების, განათების, ვენტილაციის, გათბობის, სატელეფონო ხაზებისა და კომპიუტერული ქსელების, Wi-Fi, ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემების მოწყობა. შენობა გათბება ელექტროენერგიით.
- წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემების მოწყობა. მუზეუმის შენობისათვის წყლის მიწოდება მოხდება ქ. ვანის წყალსადენის ქსელიდან. წყალსადენის

მუნიციპალურ ქსელზე მოეწყობა სატუმბი სადგური, რომელიც წყალს მიაწოდებს 50 მ³ მოცულობის რეზერვუარს. სატუმბი სადგურიდან რეზერვუარამდე წყლის მილი მიუყვება ვახტანგ გორგასლის ქუჩას. რეზერვუარი განთავსდება ძველი ამორტიზირებული რეზერვუარის ადგილას, რომელიც მდებარეობს არქეოლოგიურ უბანზე. რეზერვუარიდან წყალი თვითდენითი მილით, რომელიც კვეთს არქეოლოგიურ უბანს და შემდეგ მიუყვება ქუჩას, წყალი მიეწოდება მუზეუმს. საკანალიზაციო წყლების გაწმენდის მიზნით ქვე-პროექტი ითვალისწინებს ორი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობას, თითოეული 6 მ³/დღე-ღამეში მოცულობის. გაწმენდის შემდგომ საკანალიზაციო წყლების ჩადინება მოხდება მდ. ჭიშურაში. საკანალიზაციო მილი მუზეუმიდან მიუყვება ვახტანგ გორგასლის ქუჩას და მიუერთდება ქუჩის ბოლოს განთავსებულ გამწმენდ ნაგებობებს.

3. არსებული გარემო

ვანის მუზეუმ-ნაკრძალი 1981 წლის 21 აპრილს დაარსდა, როგორც ადგილობრივი ისტორიის მუზეუმი და საზოგადოებისათვის 1985 წლის სექტემბერში, საერთაშორისო სიმპოზიუმის მიმდინარეობის დროს გაიხსნა. 2006 წლიდან იგი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნაწილს წარმოადგენს. ვანის მუზეუმ-ნაკრძალი მოიცავს ვანის ანტიკურ ნასახლარს (არქეოლოგიური უბანი), არქეოლოგიურ ბაზას და მუზეუმს.

არქეოლოგიური აღმოჩენები ვანში მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება. პირველი არქეოლოგიური კვლევები და გათხრები ვანში ექვთიმე თაყაიშვილმა აწარმოა 1896 წელს. მას ასევე წილად ხვდა პატივი გამოექვეყნებინა პირველი სამეცნიერო კვლევები ვანის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ვანში აღმოჩენილი იქნა მრავალი არქეოლოგიური ექსპონატის დიდი მრავალფეროვნება, რომლებიც ძირითადად თარიღდება VIII-I საუკუნეებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აღმოჩენილი იქნა ჩვ. წ. აღ. III-I საუკუნეებით დათარიღებული დიდი არქიტექტურული კომპლექსები და ტაძრები-საკურთხევლები. ეს უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური აღმოჩენები საფუძვლად დაედო ვანის არქეოლოგიური ობიექტის ნაკრძალად აღიარებას და არქეოლოგიური უბნის მახლობლად მუზეუმის დაარსებას.

ქალაქი ვანი მდებარეობს ქალაქ ქუთაისიდან 41 კმ მანძილზე სამხრეთ-დასავლეთით. ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 4600 კაცს (2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით) და არის ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც მოიცავს 43 სოფელს (საერთო ფართობი - 557 კმ², მოსახლეობა - 34, 000).

ვანის მუზეუმი მდებარეობს მდინარე სულორის (მდინარე რიონის შესართავი) მარცხენა ნაპირზე მდებარე ბორცვზე, რომელიც ესაზღვრება ხევებს და გადაჰყურებს დაბლობს, რომელზეც მიედინება მდინარე რიონი. ბორცვიდან იშლება მდინარე

სულორის ხეობისა და მესხეთის ქედის მშვენიერი ხედი. მუზეუმის ტერიტორია დღეის მდგომარეობით მნიშვნელოვნად სახეცვლილია წინა ქვე-პროექტების განხორციელების შედეგად, რომლის ფარგლებშიც დაიწყო შენობის რეკონსტრუქცია და აშენდა მუზეუმის მინაშენი. მუზეუმის ტერიტორია ესაზღვრება საცხოვრებელი სახლების ეზოებსა და ბაღებს.

სატუმბი სადგური და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები განთავსდება ვახტანგ გორგასლის ქუჩის დასაწყისში, ქუჩის გასწვრივ განთავსდება წყლისა და კანალიზაციის მიწები. გორგასლის ქუჩის დასრულების შემდგომ, წყლის მილი გასდევს გზას, რომელიც უერთდება ზემო ვანის მთავარ გზას. წყლის რეზერვუარი მოეწყობა არსებული წყლის რეზერვუარის ადგილას, არქეოლოგიური უბნის ტერიტორიაზე. ვახტანგ გორგასლის ქუჩის გასწვრივ და მუზეუმის მიმდებარედ განთავსებული კერძო სახლებს ექნებათ შესაძლებლობა მიუერთდნენ წყლის მიწოდების სისტემას.

4. პოტენციური ზეგავლენის ანალიზი

4.1 სამშენებლო ფაზა

4.1.1 სოციალური ზეგავლენა

- **სოციალური საკითხების ზოგადი მომხილვა:** სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის. ქვე-პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება არქეოლოგიურ უბანზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სასმელი წყლით მომარაგება, ვინაიდან მათთვის წყლის მიწოდება მოხდება მუზეუმის წყალმომარაგების ქსელიდან.
- **განსახლების საკითხები:** ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესყიდვას, არ არის მოსალოდნელი პერმანენტული ზეგავლენა კერძო ან იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე. წყლის შემავალი და გამომავალი მიწების მხოლოდ მცირე მონაკვეთი იქნება განთავსებული მიწის ნაკვეთზე, რომლითაც ამჟამად სარგებლობს კერძო პირი, რაზეც აღნიშნული პირი თანხმობა მიღებულია. კერძოდ, წყლის მიწების მცირე მონაკვეთი განთავსებულია იქნება ადგილობრივი მოსახლის ეზოში, რომელიც არ არის რეგისტრირებული, როგორც კერძო საკუთრება. მუნიციპალური განვითარების ფონდი შეხვდა მიწის ნაკვეთის მოსარგებლეს და მისგან მიიღო წერილობითი და ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობა სამუშაოების განხორციელებაზე (დანართი 7). სამუშაოების განხორციელებას არ ექნება ზეგავლენა მიწის ნაკვეთით მოსარგებლის შემოსავალზე. შესაბამისად, არ მოხდება კომპენსაციის გაცემა.
- **დასაქმების შესაძლებლობის შექმნა:** მოსალოდნელია შეზღუდული და დროებითი დადებითი ზეგავლენა მშენებლობის ფაზაში და მცირე ოპერირების ფაზაში.
- **ხმაურთან, გამონაბოლქვთან და ვიბრაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები:** შეზღუდული და დროებითი.

- **სატრანსპორტ მოძრაობის დარღვევა:** ქვე-პროექტთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობების შედეგად, დროებით შეიზღუდება ადგილობრივი სატრანსპორტო მოძრაობა.
- **უსაფრთხოება და წვდომა:** ქვე-პროექტის ფარგლებში სამუშაოების მიმდინარეობისას შეიზღუდება სარეაბილიტაციო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიებზე მისასვლელი და არ ემუქრება საფრთხე არც ტრანსპორტის მოძრაობას და არც ფეხით მოსიარულეებს.

4.1.2. კულტურულ მემკვიდრეობაზე ფიზიკური ზეგავლენა

მუზეუმის ექსპონატების უსაფრთხო დროებით განთავსებასთან დაკავშირებული რისკები არის მინიმალური, ვინაიდან, ვანის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპონატები, მუზეუმის რეკონსტრუქციის დაწყებამდე, 2012 წელს განთავსებული იქნა დროებით საცავებში. კერძოდ: ძვირფასი ლითონების, ბრინჯაოს, მინისა და ქვის არტეფაქტები გადატანილი იქნა თბილისში, ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ძვირფასი ლითონების საცავში, ხოლო ნაწილი დაცულია ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში. ძირითადი მასალა განთავსებულია ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე, ე.წ. დროებით საცავში, რომელიც აღჭურვილია შესაბამისად. საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის წერილის (#01/08-1359, 18.09.2015) შესაბამისად ექსპონატების შენახვის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია (იხ. დანართი).

მუზეუმის საგამოფენო დარბაზსა და ჰოლში დარჩა ქვის არქიტექტურული დეტალები და რესტავრირებული ქვევრები, რომლებიც შეფუთულია, დაზიანების თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნული ექსპონატები დროებით განთავსდება კერძო პირის კუთვნილ შენობაში მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე (იხ. დანართი 5. საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და შენობის მფლობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლი).

ქვე-პროექტი განხორციელდება მუზეუმის არსებული ტერიტორიის ფარგლებში. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების ალბათობა მცირეა, რადგანაც სავსე სამუშაოები და არქეოლოგიური კვლევები უკვე ჩატარებულია და ტერიტორია საფუძვლიანად შესწავლილია. თუმცა, მიწის სამუშაოების დროს, არქეოლოგიური ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში, სამუშაოები უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ და აღნიშნულის შესახებ ეცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. სამუშაოების განახლება შესაძლებელ იქნება მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვის საფუძველზე.

სასმელი წყლის რეზერვუარი განთავსდება არქეოლოგიურ უბანზე, არქეოლოგიური ობიექტებიდან მოშორებით, ადგილზე, რომელიც რეზერვუარის განთავსებისათვის შერჩეულია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში. ტერიტორია უკვე შესწავლილია და არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენის ალბათობა მინიმალურია. მიუხედავად ამისა, მიწის სამუშაოების განხორციელებას დაესწრება არქეოლოგი და რაიმე არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, სამუშაოები შეწყდება დაუყოვნებლივ; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გაეგზავნება წერილობითი შეტყობინება და სამუშაოები განახლდება მხოლოდ ოფიციალური ნებართვის მიღების შემდგომ.

რეზერვუარი წარმოადგენს რკინაბეტონის მონოლითურ ნაგებობას, რომლის ოთხივე კუთხე ჩაანკერდება ბორცვის კლდოვან ფუძეში. გარდა წყლის შემცხები და დამხარჯი მილებისა, რეზერვუარს გააჩნია გამრეცხი და ზედმეტის წყლის გადამღვრელი მილები, რაც უზრუნველყოფს მის გამართულ მუშაობას და წყლის გადმოღვრის თავიდან აცილებას.

არქეოლოგიურ უბანზე წყლის რეზერვუარის განთავსების უსაფრთხოების თაობაზე მიღებულია შესაბამისი წერილი საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან (იხ. დანართი 8).

ოპერირების ფაზაში გაზრდილი ტურისტული ნაკადის გამო მოსალოდნელია არაპირდაპირი ზემოქმედება, როგორცაა ნარჩენების წარმოქმნის ზრდა, ვანდალიზმი. წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად, კონტრაქტორი ვალდებული იქნება მოამზადოს ოპერირების სახელმძღვანელო და ჩაატაროს ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის ტრენინგი (წყლისა და კანალიზაციის სისტემების ფუნქციონირების დაწყებისას და, შემდგომ, 4-ჯერ კვარტალურად დეფექტების აღმოფხვრის პერიოდის განმავლობაში).

4.1.3 გარემოზე ზეგავლენა

ნიადაგის დაბინძურება

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოებით ნიადაგის დაბინძურების პოტენციური წყაროები შეიძლება იყოს:

- დიზელის საწვავი, ზეთები, სამუხრუჭე სითხე, ანტიფრიზი (დაღვრა/გაჟონვა მანქანა/დანადგარებიდან);
- ცემენტი, ბეტონი და სხვა დამაბინძურებლები;
- სამშენებლო ნარჩენები (შესაფუთი მასალები, ქვები, ხრეში, ცემენტის, ბეტონის, ხის და სხვა მასალების ნარჩენები).

წყლის დაბინძურება

წყლების დაბინძურება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა წყაროებიდან:

- საწვავის, ზეთების ან სხვა სახიფათო ნივთიერებების დაღვრა, განსაკუთრებით საწვავით გამართვის ან მანქანა-დანადგარების შეკეთების სამუშაოების დროს;
- ექსკავაციის შედეგად წარმოქმნილი შლამიანი წყლებით;
- სანიაღვრე წყლებში არსებული შლამით;
- მანქანა-დანადგარების გარეცხვისას;
- დაბინძურებული მიწის ან გრუნტის წყლების ზემოქმედებით;
- ზედაპირულ და/ან გრუნტის წყლებზე ქლორის შემცველი ნარჩენი წყლით, რომელიც წარმოიქმნება ახლად დამონტაჟებული წყალმომარაგების სისტემის დეზინფექციის შედეგად.

მოსალოდნელია დაღვრების სწრაფი ჩადინება წყლის ობიექტებში, რის შემდეგაც ძნელი იქნება დაბინძურების ლოკალიზება, და გაიზრდება ქვემო დინებაში უფრო დიდი ფართობის დაბინძურების რისკი. ამიტომ მნიშვნელოვანია ლოკალიზების

ლონისძიებების დაუყოვნებლივ გატარება წყლის დაბინძურების რისკის წარმოქმნის შემთხვევაში.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის შემდგომ გამიშვლად გრუნტი წვიმიან ამინდში შეიძლება ჩაირეცხოს სამუშაოების განხორციელების ადგილიდან.

ჰაერის დაბინძურება და ხმაური

ჰაერის დაბინძურების სავარაუდო ზეგავლენა მცირეა. ჰაერის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს მანქანა-დანადგარების მოძრაობამ/მუშაობამ ქვე-პროექტის ტერიტორიაზე და მასალების/ნარჩენების ტრანსპორტირებისას. ზემოქმედების წყაროები შეიძლება იყოს:

- მძიმე ტექნიკის მუშაობით გამოწვეული ხმაური და ვიბრაცია;
- გამონაბოლქვი (სატრანსპორტო საშუალებებიდან, ბულონოვებისაგან, ექსკავატორებისაგან);
- მტვერი;
- მასალების მოწოდების/ტრანსპორტირების შედეგად წარმოქმნილი გამონაბოლქვი.

სამშენებლო ნარჩენები

ინერტული სამშენებლო ნარჩენები

სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელია შემდეგი სახის ინერტული სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა:

- არსებული შენობის დაშლისა და საძირკვლის მოწყობის შედეგად წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები, როგორიცაა ზედმეტი გრუნტი, ქვები, ბეტონი, აგური და ლითონი;
- არასახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ნიადაგი;
- შესაფუთი მასალები.

სახიფათო სამშენებლო ნარჩენები

მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მანქანა-დანადგარების ტექნიკური მომსახურების სამუშაოების შედეგად, როგორიცაა:

- თხევადი საწვავი;
- ზეთები, ჰიდრავლიკური სითხე;
- ქიმიურ ნივთიერებების, მაგ. ანტიფრიზი;
- დაბინძურებული ნიადაგი;
- გაჟონვის საწინააღმდეგო მასალები, რომლებიც გამოყენებული იქნა ზეთისა და ქიმიური ნივთიერებების შესაწოვად;
- მანქანის/ძრავის ფილტრის კარტრიჯები;
- ზეთიანი ტილოები, ნახმარი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი და ა.შ.

ტრანსპორტთან დაკავშირებული ზეგავლენა

შესაძლოა ადგილი იქნეს შემდეგი სახის ზეგავლენებს:

- ხმაურის და ვიბრაციის გაზრდა;
- სატრანსპორტო საცობების წარმოქმნა,
- ჰაერის დაბინძურება გამონაბოლქვით,
- გზების ატალახება,
- ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან ტექნიკური მომსახურების დროს დაბინძურება.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვა მისი მოჭრის გამო

ნიადაგის საფარის ზედა ფენის დანაკარგებს მისი მოჭრის შედეგად შეიძლება ადგილი ექნეს მისი არასწორის შენახვისა და რეკულტივაციის შედეგად გადარეცხვის გამო.

მცენარეული საფარი და ლანდშაფტი

ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს ხეების ან ბუჩქების მოჭრას. ქვე პროექტი არ ითვალისწინებს ლანდშაფტის მნიშვნელოვან ცვლილებას.

4.2 ოპერირების ფაზა

მუზეუმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პოტენციური ზეგავლენა შესაძლებელია იყოს შემდეგი:

- ტურისტების გაზრდილი ნაკადის გამო ნარჩენების წარმოქმნისა და ხმაურის გაზრდა;
- მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო მოძრაობის გაზრდა, რის გამოც შესაძლოა გაიზარდოს გამონაბოლქვი და ხმაური, ასევე წარმოიქმნას უსაფრთხოების პრობლემა.

გარემოს დაბინძურების პოტენციური რისკი დაკავშირებულია კანალიზაციის სისტემის, მათ შორის, საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობის დაზიანებასთან, მისი არასწორი ექსპლუატაციის გამო.

დადებითი სოციალური ზეგავლენა უკავშირდება რაიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის გაზრდას, რასაც დასაქმების მხრივ დადებითი გავლენა ექნება ადგილობრივი მოსახლეობაზე.

5. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ასევე კულტურულ მემკვიდრეობაზე, მოსალოდნელი ზეგავლენის გათვალისწინებით მომზადდა გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა. გარემოსდაცვითი მიმოხილვა და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა არის კონტრაქტის ნაწილი და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხორციელება სავალდებულოა კონტრაქტორისათვის.

კონტრაქტორს მოეთხოვება:

1. სამშენებლო მასალის შეძენა მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლისგან.
2. თუ კონტრაქტორს სურვილი აქვს მასალა მოიპოვოს კარიერიდან ან მდინარის კალაპოტიდან (ვიდრე ეს მასალები შეისყიდოს სხვა მომწოდებლისგან), მაშინ მან ინერტული მასალების ამოღებაზე უნდა მოიპოვოს ლიცენზია.
3. თუ კონტრაქტორს სურს ამუშაოს თავისი ასფალტის ქარხანა (ვიდრე შეისყიდოს ეს მასალა სხვა მომწოდებლისგან) ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოიპოვოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.
4. თუ კონტრაქტორს სურს ამუშაოს საკუთარი ბეტონის ქარხანა (ვიდრე შეისყიდოს ეს მასალა სხვა მომწოდებლისგან) ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს აღწერის ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.
5. სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგასაყრელზე წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. უნდა მოხდეს ნარჩენების განთავსების თაობაზე ჩანაწერების წარმოება, როგორც სათანადო მართვის დამატკიცებელი საბუთი.
6. თუ კონტრაქტორს სამუშაოების შედეგად წარმოექმნება 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი ოდენობით სახიფათო ნარჩენი წლის განმავლობაში, მომზადებული უნდა იქნეს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარედგინოს დასამტკიცებლად კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, დანიშნული უნდა იქნეს გარემოსდაცვითი მმართველი და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარედგინოს ინფორმაცია მის შესახებ „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად.
7. ჩამდინარე წყლების გამწმენდი უნდა მოეწყოს ისე, რომ გაწმენდილი წყლის ხარისხი შეესაბამებოდეს „საწარმოო და არასაწარმო ობიექტების ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნებს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის #17 დადგენილებით.

ლიცენზიების ასლები, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში (შეთანხმებული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან) და შეთანხმება ნარჩენების განთავსების თაობაზე მგფ-ში წარმოდგენილი უნდა იქნეს სამუშაოების დაწყებამდე.

დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
წინა-სამშენებლო ფაზა			
ზოგადი პირობები	საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შეუსრულებლობა	კონტრაქტორის მიერ მოპოვებული უნდა იქნეს შემდეგი ნებართვები/ლიცენზიები და მათი ასლები წარმოდგენილი უნდა იქნეს მგფ-ში: - შეთანხმება ნარჩენი გრუნტის განთავსების ადგილზე; - ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზია; - ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების ნებართვა; - გარემოზე ზემოქმედების ნებართვა იმ სამშენებლო მასალების წარმოებაზე, რომელიც განეკუთვნება ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას; - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში, რომელიც შეთანხმებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან;	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		- შეთანხმება საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე უახლოეს ნაგავსაყრელზე.	
ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება დაგეგმილ საქმიანობაზე	მსოფლიო ბანკისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსრულებლობა	- კონტრაქტორმა სამშენებლო ტერიტორიაზე უნდა განათავსოს საინფორმაციო ბანერი. ბანერზე განთავსებული უნდა იქნეს ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ მგფ-ში, ზედამხედველ კომპანიასა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, რომელსაც ადგილობრივმა მოსახლეობამ შესაძლოა მიმართოს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით საჩივრის არსებობის შემთხვევაში. ბანერი დამზადებული უნდა იყოს ამინდის	მშენებელი კონტრაქტორი,

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		უარყოფითი პირობებისადმი გამძლე მასალისაგან. ბანერზე წარწერები განთავსებული უნდა იქნეს ქართულ და ინგლისურ ენებზე.	
გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების სტრუქტურა	ქართული კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან შეუსაბამობა, მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე	- ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვაზე და EMP-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა - მუშახელის ტრეინინგი ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებზე - გარემოზე ზემოქმედების შესარბილებლად საჭირო აღჭურვილობის უზრუნველყოფა	მშენებელი კონტრაქტორი
მშენებლობის ფაზა			
სამშენებლო სამუშაოები, მათ შორის:	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება	- მანქანა-დანადგარები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში, რომ არ მოხდეს მუშა-ხელისა და ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება გამონაბოლქვით. უნდა განხორციელდეს მანქანა-დანადგარების რეგულარული ტექნიკური მომსახურება, გაუმართაობის გამო	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
- ობიექტის ტერიტორიის მომზადება - მიწის სამუშაოები - - შენობა-ნაგებობების მოწყობა - სამშენებლო ტექნიკის ექსპლოატაცია - სატრანსპორტო ოპერაციები		გამონაბოლქვის გაზრდის თავიდან ასაცილებლად. - დიზელის ძრავები რეგულარულად უნდა შემოწმდეს და შეკეთდეს ემისიების მინიმუმის მიზნით. ყველა მანქანა-დანადგარი ასევე უნდა შეკეთდეს საჭიროებისამებრ, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი გამართული მუშაობა და პოტენციური ემისიების თავიდან აცილება; - სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა უნდა მოხდეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ემისიები (საწვავის შენახვისათვის არ უნდა იქნეს გამოყენებული ღია ავზები); - მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურული ტრანსპორტით მტვერის წარმოქმნის შემცირების მიზნით. სამშენებლო ტერიტორია უნდა მოირწყას საჭიროებისამებრ; მუშები აღჭურვილი უნდა იქნენ პერსონალური დაცვის საშუალებებით;	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		- დემონტაჟის სამუშაოების დროს ტერიტორია უნდა დატენიანდეს ან დამონტაჟდეს მტვრის შემაკავებლები; - გარემო (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს წარმოქმნილი ნამსხვრევებისაგან; - მიწის სამუშაოები უნდა შეჩერდეს ძლიერი ქარის დროს; - სამშენებლო მასალები და ყრილები უნდა იქნეს გადახურული; - მოჭრილი/ამოღებული გრუნტი უნდა იქნეს დასაწყობებული შესაბამისად; - აკრძალულია სამშენებლო მასალების ან ნარჩენების დაწვა, - აკრძალულია მანქანების და მძიმე ტექნიკის დაუტვირთავი მუშაობა. - ტერიტორიის რეკულტივაცია უნდა მოხდეს სამუშაოების დასრულებისთანავე.	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
	ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება	- მასალების გადაზიდვისას ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე უნდა იქნეს შეზღუდული დასახლებულ ადგილებში უსაფრთხო დონემდე; - უნდა განხორციელდეს მანქანა-დანადგარების პერიოდული ტექნიკური კონტროლი და შეკეთება საჭიროებისამებრ; - სატრანსპორტო ოპერაციები უნდა განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში - ტექნიკის უქმი სვლა არ უნდა იყოს ნებადართული. გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი მაყუჩები; - უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მანქანა-დანადგარების გამართული მუშაობა.	მშენებელი კონტრაქტორი
	ნიადაგის საფარის დაზიანება	- სამშენებლო ტერიტორია და მისასვლელი გზები უნდა იქნეს მონიშნული სამუშაოების დაწყებამდე; - სამუშაო ტერიტორიის საზღვრები უნდა იქნეს დაცული სამუშაოების განხორციელების დროს; - სამუშაო უბნებიდან ნიადაგის საფარის მოხსნა (შეძლებისდაგვარად) და დასაწყობება შემდგომი გამოყენების მიზნით უნდა მოხდეს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		ტექნიკური რეგლამენტის (2014) მოთხოვნების შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება უნდა მოხდეს არაუმეტეს 2 მეტრი სიმაღლის გროვებად, რომლის გვერდის დახრილობის კუთხე არ აღემატება 45⁰-ს. ნიადაგის დასაწყობების ადგილის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი: დასაწყობების ადგილი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ არ მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ჩამოშლა, დატკეპვნა ტექნიკის მოძრაობის შედეგად, ასევე დაბინძურება სხვა მასალებით. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყოფილი უნდა იქნეს გრუნტისაგან (ნიადაგის ქვედა ფენისაგან); ნიადაგის დასაწყობება უნდა მოხდეს ისე, რო არ იყოს წყლით წარეცხვის/დატბორვის საფრთხე; დაუშვებელია ნიადაგის დასაწყობება მდინარიდან/წყლის ნაკადებიდან 25 მეტრზე ნაკლებ მანძილზე, ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიის თავისებურების გათვალისწინებით;	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
